სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ქ. თბილისი ——————— 2019 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

ერთის მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი _____ სახით, და მეორეს მხრივ _____ (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი _____ სახით ერთად წოდებული როგორც „მხარეები", საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა შესყიდვა ელექტრონული ტენდერის (NAT---------) საშუალებით ცენტრალური აპარატის 2019 წლის ასიგნების ფარგლებში, სამინისტროს სარეზერვო სერვერული ოთახის სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების (CPV45400000) შესყიდვაზე, რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება ჩაატაროს ზემოაღნიშნული სამუშაოები ------- (-------) ლარად (შემდგომში ,,ხელშეკრულების ღირებულება"). ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესასრულებელი სამუშაოების აღწერილობა და ღირებულება განისაზღვრება ელექტრონულ ტენდერში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტის დანართი #1-ის (ხარჯთაღრიცხვა) შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

4.1. სამუშაოს შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 25 (ოცდახუთი) კალენდარული დღე.

4.2. სამუშაოს შესრულების ადგილია: ქ. თბილისი, ასათიანის ქ. #9

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში;

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

6.1.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების მე-16 მუხლით განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფის მიერ მომზადებული წერილობითი დასკვნის საფუძველზე. რაზედაც მხარეთა შორის გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი;

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია შესრულებული სამუშაოს შესახებ - ფორმა N2,შედგენილი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად. ფარული სამუშაოების აქტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დადასტურებული შემსყიდველი ორგანიზაციის ტექნიკური ზედამხედველ(ებ)ის მიერ.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

- უზრუნველყოს სამუშაოების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და მოქმედი სტანდარტების შესაბამისად;

- განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება;
- მოქმედი ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;
- საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სამუშაო ფართის დასუფთავება, ნარჩენების, სამშენებლო ნაგვის მოგროვება და ტერიტორიიდან გატანა;
- სამუშაოების მიმდინარეობის დროს დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების წესები და ნორმები;
- ფარული სამუშაოების წარმოების შემთხვევაში შეადგინოს ფარული სამუშაოების დამადასტურებელი წერილობითი აქტები, ამასთან ფარული სამუშაოები წარმოებულ უნდა იქნეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ინსპექტირების განმახორციელებელ პირებთან ერთად;
- სამუშაოს შესრულება უზრუნველყოს შესაბამისი რაოდენობის, სანდო, სათანადო უნარ/ჩვევების მქონე პერსონალით;
- სამუშაოს შესრულების პროცესში გამოყენებული ყველა ტექნიკური აღჭურვილობა და ინსტრუმენტი უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში, მათი ექსპლოატაცია უნდა ხდებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესით. ტექნიკური აღჭურვილობის და ინსტრუმენტის ექსპლუატაციისას დაუშვებელია არაქარხნული (კუსტარული)წესით დამზადებული დეტალის ან/და სათადარიგო ნაწილის გამოყენება;
- სამუშაოს შესრულების პროცესში უზრუნველყოს კონტროლის განმახორციელებელ პირთა მიერ გაცემული, როგორც ზეპირი ასევე წერილობითი რეკომენდაციების და მითითებების შესრულება, აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველს მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
- განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები;
- სარემონტო სამუშაოებისას გამოყენებული ნებისმიერი მასალა ან/და მოწყობილობა უნდა შეესაბამებოდეს არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს.შემსყიდველი უფლებამოსილია კონკრეტულ შემთხვევებში ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მიმწოდებელს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის გონივრულ ვადაში წარმოდგენა;
- მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები სამუშაოების წარმოების ზონაში ხანძრის გაჩენის, აფეთქების და სხვა ექსცესის თავიდან ასაცილებლად;
- ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო ადგილზე;
- ხელშეკრულების 7.1. პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, აღნიშნულის შედეგად წარმოშობილ ზიანზე სრული პასუხისმგებლობა დაეკისრება მიმწოდებელს.

7.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
- წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს წუნის აღმოჩენის შესახებ;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;
- უზრუნველყოს "მიმწოდებლის" ადექვატური და დროული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
- დროულად განიხილოს "მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები,რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:

- ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

8.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს:

- აწარმოოს გაწეული სამუშაოს ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;
- აწარმოოს შესრულებულ სამუშაოთა ფინანსური და ორგანიზაციული მონიტორინგი;
- განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების, საქართველოში მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.

9. გარანტია

9.1. შესრულებულ სამუშაოზე და ასევე დამონტაჟებულ მოწყობილობებზე უნდა ვრცელდება საგარანტიო ვადა მირება-ჩაბარების გაფორმებიდან - 3 წელი.

9.2. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, ექსპლუატაციის პირობების დაცვის პირობებში, დეფექტის ან ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გამოვლენილი დეფექტი გამოასწოროს შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში, თავისი ხარჯებით, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დანახარჯის გაწევის გარეშე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვის ვადით, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

11.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

11.4 დაუშვებელია ერთეულის ფასის ისეთი ცვლილება, რომელიც გამოიწვევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% - ზე მეტი ოდენობით გაზრდას;

11.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

12,2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1.თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში;

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

14.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1. სამუშაოს შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით, ხელშეკრულების ღირებულების 0.2-%-ის ოდენობით.

15.2. წინამდებარე ხელშეკრულების 16.3. პუნქტით განსაზღვრული პირობის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული სამუშაოს ღირებულების 0.3%-ის ოდენობით;

15.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

15.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.5. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 %-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

16. ინსპექტირების პირობები

16.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს და სამუშაოთა ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებენ _____

16.2. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს განახორციელოს ინსპექტირება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, შეუზღუდავად.

16.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი, მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს რეაგირება და გამოასწოროს წუნი, ამ წუნის გამოსწორებისთვის საჭირო გონივრულ ვადაში (გონივრული ვადა განისაზღვრება წუნით შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად);

16.4. მიმწოდებელი პასუხისმგებელია ინსპექტირებისა და ვალდებულებების შესრულების პროცესის კონტროლის მიზნით შემსყიდველისათვის მიწოდებული ინფორმაციისა და ანგარიშების სისწორეზე და ნამდვილობაზე.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

1 7.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ———— ჩათვლით.

18 . ზოგადი პირობები

18.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილი და ხელმოწერილია ელქტრონულად (დოკუმენტზე შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დოკუმენტი დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპი).

19. მხარეთა რეკვიზიტები